

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრის,

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის,

თინათინ ნიბლოშვილის

2021 წლის ანგარიში

სარჩევი

COVID-19-ის მიერ შექმნილი გამოწვევები....3

თინათინ ნიბლოშვილის, როგორც სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის აქტივობა....4

თინათინ ნიბლოშვილის, როგორც განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული სხდომების სტატისტიკა....5

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა და მონიტორინგი....7

ოფიციალური და სამუშაო შეხვედრები....9

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგი....11

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები და პროექტები....13

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული საბჭო და კომისიები....18

კორესპონდენცია და მოქალაქეთა მიღება....19

თბილისის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი....19

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად წარმოგიდგენთ, საკრებულოს წევრის, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თინათინ ნიბლოშვილის 2021 წლის ანგარიშს.

COVID-19-ის მიერ შექმნილი გამოწვევები

2021 წელმა საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, განსხვავებული პირობები და ახალი გამოწვევები შექმნა. მსოფლიოს მასშტაბით, ვირუსმა შეცვალა ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრება და საჭიროებები, შესაბამისად – ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლებების სერვისები. აქტივობები, რომლებიც მანამდე იყო დაგეგმილი, მეტად ფოკუსირდა მოქალაქეთა სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფაზე.

თბილისის მუნიციპალურმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მაქსიმალურად შეძლეს ადაპტირება პანდემიურ გამოწვევებთან და გაგრძელდა დისტანციური სწავლება. საანგარიშო წლის პერიოდში მიმდინარეობდა პროექტების დაფინანსება. შემოქმედებითი თბილისის საბიუჯეტო პროგრამის (კოდი: 08 09) ფარგლებში, 52 პროექტი დაფინანსდა, მათ შორის 29 – საგამომცემლო, 10 – აუდიოვიზუალური, 4 – ვიზუალური და 9 – დიზაინი და რეწვის მიმართულებით.

კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, გასულ წელთან მიმართებით არ შემცირებულა. კულტურის სფეროს წარმომადგენლების მაქსიმალური ხელშეწყობის მიზნით, პანდემიის გამო, კონკრეტული პროექტები ჰიბრიდულ ან სრულად ონლაინ ფორმატში ჩატარდა. მიმდინარე წელს დაფინანსდა კულტურის სფეროს 105 პროექტი, მათ შორის, – 27 თეატრალური წარმოდგენა, 28 ფესტივალი, 20-მდე საიუბილეო და შემოქმედებითი საღამო, 5 – სახელმწიფო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი, საკონცერტო, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებები. ამასთან, ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის (კოდი: 08 13) ფარგლებში, საანგარიშო პერიოდისათვის დაფინანსებულია 7 პროექტი.

მუნიციპალურ სახელოვნებო სკოლებსა და არაფორმალური განათლების ცენტრების – მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისა და სახლების ფილიალების პედაგოგებს, მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში, შეუნარჩუნდათ ხელფასების უწყვეტ რეჟიმში დარიცხვა; გარდა ამისა, აღნიშნულ დაწესებულებებში, მოსწავლეთათვის სერვისის შეუფერხებლად მიღების მიზნით, რიგ შემთხვევებში შემუშავდა დისტანციური პროგრამები. ხელფასები შეუნარჩუნდათ ასევე თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღის, მუზეუმების გაერთიანებისა და ბიბლიოთეკის გაერთიანების ყველა თანამშრომლებს.

აუცილებლად აღსანიშნავი მაგალითია მუზეუმების გაერთიანების საქმიანობა, რომელიც მთელი წლის მანძილზე მართავდა ონლაინ გამოფენებს. პანდემიის მიუხედავად, მუზეუმების გაერთიანებაში შეუფერხებლად გაგრძელდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მათ შორის, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის კვლევა-პროექტირებაზე, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფილიალების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე და მათი ინვენტარით აღჭურვაზე, მახათას მთაზე მდებარე ახალ პანთეონში არსებული სამარხების მოპირკეთებაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიამ დაიწყო ონლაინ პროექტი #დარჩიკრეატიული, რომელიც პანდემიის რთულ დღეებში ხელოვანთა ონლაინ ჰაბად გადაიქცა. ამავდროულად, საკრებულომ, განათლებისა და კულტურის კომისიის ორგანიზებით, სკოლის მოსწავლეთათვის ერთჯერადად ჩაატარა კონკურსი – „პანდემია, როგორც შესაძლებლობა", რომლის მიზანს წარმოადგენდა COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული გლობალური რისკის შეფასება, პანდემიის მართვა და მის პრევენციაში მოზარდებისა და საზოგადოების როლის გააზრება, პანდემიის პერიოდის პოზიტიურ ჭრილში განხილვა და ბავშვების დახმარება იმ იდეების, სიახლეების, საინტერესო გეგმების რეალიზებაში, რომლებიც მათ ამ პერიოდში დაუგროვდათ.

თინათინ ნიბლოშვილის, როგორც სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის აქტივობა

თბილისის საკრებულოს წევრი თინათინ ნიბლოშვილი, საანგარიშო წლის პერიოდში, 1 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე იყო თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე, ხოლო 2020 წლის 15 დეკემბრიდან – დღემდე არის თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეობის პერიოდში, თინათინ ნიბლოშვილის მიერ თბილისში არაერთი ქუჩის სახელდება მოხდა.

თინათინ ნიბლოშვილის, როგორც განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მიერ ჩატარებული სხდომების სტატისტიკა

განათლებისა და კულტურის კომისიამ, საკრებულოს წევრის, თინათინ ნიბლოშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა 12 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 16 საკითხი, მათ შორის:

1. 21 დეკემბერი, 2020 წელი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (№12-032034578-03; 10.12.2020).

2. 28 დეკემბერი, 2020 წელი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

3. 20 იანვარი, 2021 წელი

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2020 წლის ანგარიშის განხილვა.

4. 9 თებერვალი, 2021 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განხილვა (№12-0321036116-03; 05.02.2021).

5. 19 მარტი, 2021 წელი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (№12-03210576-03; 26.02.2021) საკითხის განხილვა.

6. 22 აპრილი, 2021 წელი

მუნიციპალიტეტების როლი პროფესიული განათლების განვითარების საკითხებში.

7. 29 აპრილი, 2021 წელი

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (№12-0321118126-03; 28.04.2021);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და

ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (№12-0321118120-03 ; 28.04.2021).

8. 25 მაისი, 2021 წელი

• „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (№12-032113350-03; 13.05.2021);

• „ქალაქ თბილისში სკოლებს შორის კონკურსის „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“ ჩატარებისთვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. 25 ივნისი, 2021 წელი

• სსიპ ქალაქ თბილისის №28 საჯარო სკოლისთვის ექვთიმე თაყაიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე;

• ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადებების (№10/032109128-03; 01.04.2021; №10/03211457-03; 25.05.2021) განხილვა.

10. 23 ივლისი, 2021 წელი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (№12-032120333-03; 22.07.2021).

11. 25 აგვისტო, 2021 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2021 წლის პირველ ნახევარში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

12. 07 სექტემბერი, 2021 წელი

• ა(ა)იპ ქ. თბილისის №70-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

• ა(ა)იპ ქ. თბილისის №34-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.

ადრეული და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა და მონიტორინგი

თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა და პერსონალთა უსაფრთხოებისთვის პერიოდულად ხდებოდა სააღმზრდელო პროცესის შეწყვეტა, რა პერიოდშიც, თბილისის მერის ინიციატივით, განხორციელდა სოციალური პროექტი, რაც ითვალისწინებდა საჯარო ბაღის აღსაზრდელებისთვის საკვები პროდუქტის გადაცემას.

საბავშვო ბაღებში საკვები პროდუქტების გაცემის პროცესი დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციების შესაბამისად მიმდინარეობს. რიგების თავიდან აცილების მიზნით, წინასწარ არის შემუშავებული განრიგი.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, დედაქალაქის მასშტაბით, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობასა და სისტემაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს, რისთვისაც ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ კვარტალური ანგარიშის კომისიურ ფორმატში განხილვა მოხდა; იგი აქტიურად თანამშრომლობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან.

საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:

- **გლდანში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა** – 2021 წელს, გლდანის მე-6 მკ/რაიონში, №101-ე საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნა, რომელიც 300 აღსაზრდელზეა გათვლილი. შენობა ბავშვთა უსაფრთხოებისათვის დადგენილ საჭირო ყველა საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტს აკმაყოფილებს, ადაპტირებულია შშმ პირთათვის, დაცულია სახანძრო უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ვიდეოკონტროლი, რაც აღსაზრდელთა მშობლებს საშუალებას აძლევს თვალი ადევნონ საკვების დამზადების პროცესს; სააღმზრდელო ჯგუფებში სივრცეები საგანმანათლებლო და ფუნქციური დანიშნულების მიხედვითაა გადანაწილებული და თითოეულ აღსაზრდელს აქვს პერსონალური ინვენტარი. ბაღის ეზო ეკოლოგიურად უსაფრთხოა, გამწვანებული და ამავდროულად მოწყობილია სათამაშო მოედნებითა და ატრაქციონებით.

- **სამგორში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა** – №164 საბავშვო ბაღი ვარკეთილის ზემო პლატოზე მდებარეობს, 8-ჯგუფიანია და 250-მდე აღსაზრდელს ემსახურება. ბაღში დასაქმებულია 60 ადამიანი. ახალი საბავშვო ბაღი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდა და ბავშვთა უსაფრთხოებისთვის დადგენილ ადგილობრივ და საერთაშორისო ნორმებს სრულად აკმაყოფილებს. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემით, ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებითა და უსაფრთხოების ბადეებით. ბაღს აქვს გამწვანებული ეზო, თანამედროვე საბავშვო სათამაშო მოედნები და სივრცე სპორტული აქტივობებისათვის. საბავშვო ბაღის მშენებლობა ქალაქის ბიუჯეტიდან 1 203 000 ლარით დაფინანსდა.

ბაღების ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგი

განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომაზე, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2020 წლის საქმიანობის ანგარიში მოვისმინეთ.

2021 წლის აგვისტოს მდგომარეობით, სააგენტოს მართვაშია 188 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დასაქმებულია 11 000-მდე ადამიანი და რეგისტრირებულია 61 000-მდე აღსაზრდელი.

✓ 2021 წელს, დედაქალაქში 2 ახალი ბაგა-ბაღი შევიდა ექსპლუატაციაში; (№101 ბაგა-ბაღი გლდანის მე-6 მკ/რაიონში და №164 ბაგა-ბაღი სამგორის რაიონში, ვარკეთილის ზემო პლატოზე); აღსაზრდელებისათვის საკვები პროდუქტების დარიგება გაგრძელდა 2021 წლის იანვარ-თებერვალში (გაიცა 4-ეტაპად) და მიმდინარეობდა სააღმზრდელო პროცესის განახლებამდე.

განხორციელდა 14 საბავშვო ბაღის ავარიული შენობის დემონტაჟი;

დაწყებულია და მიმდინარეობს ახალი ბაღების მშენებლობა:

✓ დიდუბის რაიონი, №19 ბაგა-ბაღი, დიღმის მასივი, კვ. 4, ახმეტელის ქ. №2;

✓ ისნის რაიონი, ვაზისუბანი, აშოტ კურაპალატის ქუჩა;

✓ ისნის რაიონი, ნავთლუღის ქუჩა;

✓ კრწანისის რაიონი, ორთაჭალის ქუჩა №90;

✓ სამგორის რაიონი, ბაგა-ბაღი „ვარკეთილის მეურნეობა“, რუსთაველის ქ. №18;

✓ ჩუღურეთის რაიონი, №125 ბაგა-ბაღი, ო. ქინქლაძის №90;

✓ სამგორის რაიონი, ე.წ. აფრიკის დასახლებაში – თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ განახორციელა ძველი ბაღის შენობის დემონტაჟი, შეისწავლა დაკონსერვებული შენობის მდგომარეობა და გამოაცხადა ტენდერი. გამარჯვებულმა კომპანიამ სექტემბრის პირველ რიცხვებში დაიწყო პროექტების განხორციელება. პროექტის თანახმად, ახალი ბაღი 12-ჯგუფიანი იქნება, მიიღებს 400-მდე აღსაზრდელს და დაასაქმებს 100-მდე მოქალაქეს.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად, ბაგა-ბაღებში განხორციელდა უსაფრთხოების დამატებითი სამუშაოები:

✓ გაკეთდა დისტანციის უზრუნველყოფის მანიშნებლები;

✓ შეძენილ იქნა დეზინფექციისა და ჰიგიენის დამატებითი საშუალებები და მოწყობილ იქნა ამ საშუალებათა შესანახი ნაგებობები;

✓ შეძენილ იქნა სამზარეულოს და სარეცხი განყოფილებების აღჭურვილობა;

✓ სააგენტომ ყველა აღსაზრდელისთვის შეიძინა ინდივიდუალური ჩანთები და მეთოდური მასალები;

✓ საბავშვო ბაგა-ბაღის ყველა ხელმძღვანელს ჩაუტარდა ტრენინგი კოვიდ-ინფექციის თავიდან აცილების პრევენციაზე;

✓ ყველა საბავშვო ბაგა-ბაღმა შეიმუშავა საგანგებო სიტუაციაში მოქმედების ინდივდუალური გეგმა და მშობლებთან პროაქტიური კომუნიკაციის ფორმა.

ოფიციალური და სამუშაო შეხვედრები

საანგარიშო პერიოდში, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა თემატიკის ოფიციალურ თუ სამუშაო შეხვედრებში, მათ შორის:

- **უკრაინული დელეგაციის ვიზიტი საკრებულოში** – თბილისის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი და კომისიის წევრები საქართველოში ვიზიტით მყოფ უკრაინის განათლების სფეროს დელეგაციას შეხვდნენ, რომლის შემადგენლობაში უკრაინის განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და უკრაინის რექტორთა ასოციაციის საბჭოს თავმჯდომარე იყვნენ.

  თინათინ ნიბლოშვილმა უკრაინელ სტუმრებს მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების, თბილისის ტერიტორიაზე არსებული სკოლების, მუნიციპალიტეტის მიერ განათლების მიმართულებით განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

- **კიევის ქალაქის საბჭოს დელეგაცია თბილისის საკრებულოში** – კიევის საბჭოს დელეგაციასთან შეხვედრა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ და საკრებულოს წევრებმა გამართეს. საკრებულოს თავმჯდომარემ უკრაინულ დელეგაციას 2018-2021 წლებში, თბილისში გატარებული რეფორმების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა და ძირითადი პრიორიტეტი გააცნო, რა მიმართულებითაც დედაქალაქის მთავრობამ რეფორმები გაატარა.

  განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ შეხვედრაზე განიხილა განათლების პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული წარმატებული პროექტები. შეხვედრაზე, მხარეებმა ასევე ისაუბრეს თბილისის ურბანული პოლიტიკის და K2 განაშენიანების კოეფიციენტის გაზრდის აკრძალვაზე, კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებულთა პრობლემების და დაუსრულებელი მშენებლობების ხელშემწყობ ღონისძიებებზე, ჯანდაცვის, სპორტის, ტრანსპორტის, ეკოპოლიტიკის და გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

- **უზბეკური დელეგაციის ვიზიტი საკრებულოში** – საქართველოში ვიზიტით მყოფი უზბეკეთის დელეგაცია თბილისის საკრებულოს ეწვია, რომლის შემადგენლობაში უზბეკეთის პარლამენტის წევრები, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები იყვნენ.

  თბილისის საკრებულოში უზბეკ სტუმრებს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მარიკა დარჩია და განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი შეხვდნენ.

განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა საგანმანათლებლო პროგრამებზე ისაუბრა, ასევე სტუმრებს გეოგრაფიული ობიექტების სახელდებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

➢ **„თბილისის საერთაშორისო სკოლის" მოსწავლეების ვიზიტი საკრებულოში** – თინათინ ნიბლოშვილმა „თბილისის საერთაშორისო სკოლის" დაწყებითი კლასის მოსწავლეებს უმასპინძლა.

„თბილისის საერთაშორისო სკოლის" მოსწავლეებმა საკრებულოს თამარ მეფის და დიმიტრი ყიფიანის სახელობის დარბაზები და ანბანის სკვერი მოინახულეს და თბილისის მუნიციპალიტეტის ფუნქციის (მუნიციპალური სერვისების) უკეთ გაცნობის მიზნით, თბილისის სიმბოლიკაზე შექმნილი ილუსტრაციები გააფერადეს.

მუნიციპალიტეტის როლი პროფესიული განათლების განვითარების საკითხებში – პროფესიული განათლების პოპულარიზაციის, სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვისა და შრომის ბაზრის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომაზე პროფესიული განათლების პოპულარიზაციის გზებსა და მუნიციპალიტეტის ჩართულობის მნიშვნელობაზე, სხვადასხვა უწყებების ჩართულობით, ფართო მსჯელობა გაიმართა.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ პროფესიული განათლების განვითარების მხრივ განახორციელა შემდეგი სახის აქტივობა:

➢ **შეხვედრა პროფესიულ კოლეჯებში** – თინათინ ნიბლოშვილი პროფესიული სწავლების პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო წლის პერიოდში, იმყოფებოდა პროფესიულ კოლეჯ „იკაროსში",[1] „სპექტრსა"[2] და „მერმისში"[3].

---

[1] ***პროფესიული ხელობის მიმართულებები კოლეჯ „იკაროსში"*** – სარესტორნო საქმის მწარმოებელი; კონდიტერი (პურ-ფუნთუშეული და ტორტების მომზადება); სარესტორნო საქმის მწარმოებელი; მზარეული (ქართული და მსოფლიო სამზარეულო); ხორცის დამუშავება და ხორცპროდუქტების მომზადების ტექნოლოგია; სასტუმროს საქმის მწარმოებელი; საიუველირო საქმის მასალათმცოდნეობა; სასტუმროს საქმის მწარმოებელი; სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა; ბარმენი; მებაღე-დეკორატორი; თბილისის გიდი; სომელიე.

[2] ***პროფესიული ხელობის მიმართულებები კოლეჯ „სპექტრში"*** – ამზომველ-გეოდეზისტი; ელექტრიკოსი; შემდუღებელი (ელექტრორკალური); კონდიცირების სისტემის მემონტაჟე; სანტექნიკისა და გათბობა-წყალგამაცხელებელი სისტემების მემონტაჟე; მღებავი; სხვადასხვა მასალის დამუშავება თანამედროვე CAM პროგრამების გამოყენებით, 3D მოდელირება და რთული მრავალკომპონენტიანი ნაკეთობების პროექტირება.

[3] ***პროფესიული ხელობის მიმართულებები კოლეჯ „მერმისში"*** – მზარეული, პურ-ფუნთუშეულის მცხობელი, ელექტრიკოსი, სტილისტი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, ქალის ზედა ტანსაცმლის კონსტრუქტორი, ფილამწყობი, ხეზე მხატვრული კვეთის სპეციალისტი, ტყავის აქსესუარების მკერავი, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების საშუალებით რიცხვითი პროგრამული დანადგარების მართვის სპეციალისტი, ძრავის კვების სისტემის დიაგნოსტიკისა და სერვისის სპეციალისტი, სავალი ნაწილის ტექნიკოსი, სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი, დურგალი.

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, პროფესიული განათლების როლი ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, ხელს უწყობს მოკლე დროში კვალიფიციური კადრის შექმნასა და დასაქმების მაჩვენებლის ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებას. კოლეჯებში სწავლება მიმდინარეობს ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, ევროპული სტანდარტების შესაბამისად, რითაც კვალიფიციური მუშახელის მიწოდება ხდება დამსაქმებლისთვის.

პანდემიით დაზარალებული მოქალაქეების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს, დედაქალაქის ბიუჯეტის დაფინანსებით, კოლეჯ „მერმისში" დამატებით 163-მა მსმენელმა გაიარა პროფესიული განათლების კურსი, ხოლო კოლეჯ „იკაროსში", დამატებით – 175 მსმენელი გადამზადდა.

მუნიციპალური პროექტის „ისწავლე და დასაქმდი" ფარგლებში, 2018 წლიდან კოლეჯებმა 2300-ზე მეტი მსმენელი გადაამზადა. კოლეჯები აქტიურად თანამშრომლობენ ბიზნესის სექტორის წარმომადგენლებთან და კურსდამთავრებულთა 80% დასაქმებულია.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგი

მუნიციპალური კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგისა და მიმდინარე მოვლენების ადგილზე შესწავლის მიზნით, თინათინ ნიბლოშვილი საანგარიშო წლის პერიოდში გასვლით შეხვედრებს ატარებდა. განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე ნაძალადევის მედიათეკაში იმყოფებოდა, რომელიც მოიცავს იზოლირებულ სამკითხველო დარბაზებს, მთავარ სამუშაო სივრცეს და ეკრანითა და პროექტორით აღჭურვილ მულტიმედიურ ოთახს.

თბილისის მერიის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება 2018 წელს კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების რეფორმის ფარგლებში შეიქმნა, რომელიც დედაქალაქის 36 ბიბლიოთეკასა და 3 მედიათეკას აერთიანებს. მისი მიზანია თანამედროვე ტიპის კულტურულ-საინფორმაციო სივრცის შექმნა, რომელშიც მომხმარებელს საშუალება აქვს, როგორც მრავალფეროვანი წიგნადი ფონდით, ისე ელექტრონული რესურსებით ისარგებლოს.

➢ **ვიზიტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის ახლად გარემონტებულ სახლ-მუზეუმებში** – საანგარიშო წლის პერიოდში, თინათინ ნიბლოშვილი სისტემურ გასვლით შეხვედრებს ატარებდა მუნიციპალური კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე იმყოფებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის განახლებულ მემორიალურ ბინა-მუზეუმებში.

როგორც დეპუტატმა აღნიშნა, თბილისი უკანასკნელ წლებში კულტურის სფეროსა და მასში დასაქმებულ ადამიანთა ხელშეწყობის მიზნით, მასშტაბურ სისტემურ რეფორმებს ატარებს. ამის საუკეთესო მაგალითია ნიკოლოზ

ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის ახლად რეაბილიტირებული სახლ-მუზეუმები.

მუზეუმის ვიზიტორს, მე-19 საუკუნის თბილისის ცხოვრებისა და ბარათაშვილის შემოქმედების დანახვა 3D ტექნოლოგიებით შეუძლია. სახლ-მუზეუმში 1982 წლიდან დაცულია მემორიალური და ეპოქისთვის სახასიათო ნივთები, ხალხური საკრავები, მხატვრული ტილოები, ფოტომასალა, ხელნაწერები და წიგნადი ფონდი.

გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ ბინა-მუზეუმი, რომელიც 2020 წელს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის საგამოფენო-საგანმანათლებლო სივრცედ გადაკეთდა, განთავსებულია სახლში, სადაც პოეტმა უკანასკნელი წლები გაატარა. მწერლის სამუშაო ოთახი და საცხოვრებელი გარემო თითქმის უცვლელად არის აღდგენილი. მუზეუმში თანამედროვე ინსტალაციაც მოეწყო, რომელიც გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებას ქრონოლოგიურად აღწერს.

➢ **აკაკი წერეთლის სახელობის რეაბილიტირებული ბიბლიოთეკა თბილისში** – ბიბლიოთეკის სრული რეაბილიტაცია თბილისის მერიისა და მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ინიციატივით დაიწყო. რეაბილიტირებული სივრცე თბილისის მერმა კახა კალაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, გერმანიის ელჩთან – ჰუბერტ ქნირშთან ერთად დაათვალიერეს.

ზაზა იაშვილისა და სოფიო მაჭავარიანის საავტორო დიზაინით განახლებული ფილიალი თანამედროვე საბიბლიოთეკო სტანდარტების შესაბამისად განახლდა, თუმცა, ამავდროულად, შენარჩუნდა შენობის ისტორიული არქიტექტურა და ინტერიერის უნიკალური მხატვრობა. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია საბავშვო ზონა და განახლებულია წიგნადი ფონდი.

რეაბილიტირებული ბიბლიოთეკა გაიხსნა გამოფენით – „გერმანული ფერადი ენაა“. გამოფენამ სამასამდე გერმანულენოვანი გამოცემა გააერთიანა. მათ შორის, მხატვრული ლიტერატურა, საბავშვო და საყმაწვილო წიგნები, დარგობრივი ლიტერატურა. გამოფენა „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის, საქართველოში გერმანიის საელჩოსა და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ერთობლივი ინიციატივით მომზადდა.

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები და პროექტები

საანგარიშო პერიოდში, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თინათინ ნიბლოშვილის ინიციატივითა და შუამდგომლობით მოეწყო შემდეგი ღონისძიებები:

➢ **გამოფენა „ფერწერა აფხაზეთიდან“** – თბილისის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარის, თინათინ ნიბლოშვილის ინიციატივით, გამოფენა საბჭოთა ოკუპაციის 100 წლისთავს მიეძღვნა. გამოფენაზე აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების 30-მდე ფერწერული ნამუშევარი იყო წარმოდგენილი; გამოფენის მიზანს წარმოადგენდა ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდა თაობის შემოქმედებითი პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია.

➢ **მშობლიური ენის საერთაშორისო დღე** – თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, მშობლიური ენის საერთაშორისო დღე აღნიშნა, რომელიც რუსეთის მიერ ოკუპაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში მოეწყო. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, ეს დღე იუნესკომ 1999 წელს დააწესა ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების, განვითარებისა და წარმოჩენის მიზნით და მას შემდეგ 21 თებერვალი კულტურათაშორისი დიალოგისთვის მნიშვნელოვან კალენდარულ მოვლენად იქცა.

კორონავირუსის პანდემიის პირობებში, რეგულაციის სრული დაცვით ჩატარდა ღონისძიება, რომელსაც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე, კავკასიოლოგი მერაბ ჩუხუა, ფილოლოგიის დოქტორო, პროფესორი ნაირა ბეპიევი, ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი ამირან გომართელი და მწერალი და პროფესორი სალომე კაპანაძე ესწრებოდნენ.

მშობლიური ენის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად წარმოდგენილი იყო სხვადასხვა კალიგრაფიული ნამუშევრები და ქართული ფონტის გამორჩეული ნიმუშები. ღონისძიების ფარგლებში, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თანამშრომელმა, მწერალმა ირაკლი შამათავამ წარმოადგინა უახლესი გამოცემა „ვილაპარაკოთ – 33 ამბავი აფხაზეთზე“, რომელიც აერთიანებს თანამედროვე პროზას აფხაზეთზე. ავტორის თქმით, წიგნში ახლებური ხედვაა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენის და ნდობის მოპოვებისთვის.

➢ **ხელოვნების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება** – თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივითა და მხარდაჭერით, მედიის მკვლევარ ანა ბაქანიძესთან ერთად, „მზიურის“ პარკში ხელოვნების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სახელწოდებით – „თბილისი – სიყვარულით სავსე ქალაქი და ისტორიული სინამდვილე“ გაიმართა.

როგორც დეპუტატმა თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, თბილისი სიყვარულით სავსე ქალაქია და ეს მხოლოდ დედაქალაქის თანამედროვე სლოგანი კი არა, ისტორიული სინამდვილეცაა. თბილისის სხვადასხვა უბანში არსებობს გამორჩეული ადგილი, რომელიც სასიყვარულო ამბებს ინახავს. ცნობილ ადამიანთა საინტერესო ისტორია არქივში, მოსახლეობის მეხსიერებასა და პრესაშია დაცული. ასეთი მიმოწერები დღეს უკვე ერის ისტორიული მეხსიერება და მუზეუმში დაცული უნიკალური მასალაა, რომელიც საზოგადოების უმრავლესობისთვის უცნობია.

15 აპრილი ხელოვნებისა და კულტურის მსოფლიო დღეა და ის UNESCO-ს ეგიდითა და ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციის ინიციატივით 1998 წლიდან აღინიშნება.

➢ **„პოეტები თბილისის ქუჩებიდან“** – თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით ახალი პროექტი – „პოეტები თბილისის ქუჩებიდან“ დაიწყო, რომლის მიზანი ცნობილ ქართველ მწერლებთან დაკავშირებული აქამდე უცნობი დეტალების წარმოჩენა, საცხოვრებელი მისამართების მოძიება და იმ ეპოქის გაცოცხლებაა, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. პროექტის ფარგლებში პირველი ღონისძიება სახელწოდებით „ტერენტი, როგორც მხატვარი“ იმ სახლის ეზოში გაიმართა, სადაც ტერენტი გრანელი 1925-1931 წლებში ცხოვრობდა. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა პოეტის განსხვავებულ რაკურსში წარმოჩენა და მისი ბიოგრაფიული შტრიხების გაცოცხლება იმ გრაფიკული ნამუშევრებით, რომელსაც იგი სიცოცხლის მანძილზე ქმნიდა.

ღონისძიებაზე ლადო გუდიაშვილისა და ირაკლი თოიძის მიერ შექმნილი ტერენტი გრანელის პორტრეტები გამოიფინა. სანდრო ახმეტელის სახელობის მუნიციპალური დრამატული თეატრის მსახიობებმა პოეტური ნაწარმოებები წაიკითხეს, ხოლო თბილისის 31-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ტერენტი გრანელის შესახებ ისტორიები წარმოადგინეს.

ღონისძიებას საკრებულოს წევრები, ტერენტი გრანელის შთამომავალი, პროფესორი მამანტი როგავა, გრანელის შემოქმედების მკვლევრები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

➢ **წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე** – განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, თბილისის საკრებულოში წლის განმავლობაში შეგროვებული მაკულატურა წიგნებში გადაიცვალა და წიგნის საჯაროდ კითხვის დღესთან დაკავშირებით, ხანდაზმულთა მუნიციპალურ პანსიონატის მცხოვრებლებს გადაეცათ. პანსიონატში მცხოვრებმა მოხუცებმა სასურველი ლიტერატურა წინასწარ თავად დაასახელეს. თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია წიგნის კითხვის საერთაშორისო დღეს ყოველწლიურად აღნიშნავს; როგორც დეპუტატმა განაცხადა, სურვილი გვქონდა გაგვეხარებინა ის ხალხი, ვისაც განსაკუთრებულად

სჭირდება საზოგადოების ზრუნვა და ყურადღება. ამიტომ, მათი სურვილისამებრ, შევიძინეთ უახლესი გამოცემები – მხატვრული ლიტერატურა.

წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე ცნობილი ღონისძიებაა, რომელიც 2010 წლიდან ყოველწლიურად მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება. ეს დღე ადამიანებს საერთო იდეით აერთიანებს, სლოგანით: იკითხე წიგნი შეცვალე მსოფლიო!

➢ **თბილისის საკრებულოს კონკურსი „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“** – 2021 წელს თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ორგანიზებით, ერთჯერადად ჩატარდა კონკურსი – „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“, რომლის მიზანს წარმოადგენდა COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული გლობალური რისკის შეფასება, პანდემიის მართვა და მის პრევენციაში მოზარდებისა და საზოგადოების როლის გააზრება, პანდემიის პერიოდის პოზიტიურ ჭრილში განხილვა და ბავშვების დახმარება იმ იდეების, სიახლეების, საინტერესო გეგმების რეალიზაციაში, რომლებიც პანდემიის პერიოდში დაუგროვდათ.

კონკურსში თბილისში მდებარე ორმოცდაექვსმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებული ვიდეორგოლები კონკურსის ჟიურიმ გამოავლინა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: განათლების ექსპერტი – ირინა აბულაძე, ფსიქოლოგი – ხათუნა მუზაშვილი, კინორეჟისორი – ლევან კიტია, მწერალი – გიორგი კეკელიძე და ხელოვნებათმცოდნე – სოფიო პატარაია. ჟიური ხელმძღვანელობდა შემდეგი კრიტერიუმით: პოზიტიური ხედვა; შემოქმედებითი მიდგომა; სცენარი და შინაარსი; ფასეულობითი სარგებელი.

ჟიურის გადაწყვეტილებით, I ადგილი №203, II ადგილი – №115 და III ადგილი №138 საჯარო სკოლებმა მოიპოვეს. ნომინაციაში „ჟიურის სპეციალური აღნიშვნა” გამარჯვებულად დასახელდა №16 საჯარო სკოლა, „ხალხის რჩეული“ კი გახდა №172 საჯარო სკოლა. კონკურსის ოფიციალური მხარდამჭერი იყო „ლიბერთი ბანკი”, „ბიბლუსი” და „ვულე-ვუ“.

➢ **#დარჩიკრეატიული – თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის Facebook პლატფორმა ხელოვანებისა და მათი შემოქმედებისთვის**

ახალი კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, საზოგადოების არტთერაპიის მიზნით, განათლებისა და კულტურის კომისიამ ოფიციალური გვერდი გადააკეთა ონლაინ კულტურულ ჰაბად, რომლის მიზანი ერთი მხრივ, საზოგადოების არტთერაპია და, მეორე მხრივ, შემოქმედი ადამიანებისთვის სოციალური დისტანცირების პირობებში ახალი შემოქმედებითი პროექტების განხორციელების მოტივაცია იყო.

„დარჩი კრეატიული“ წარმოადგენდა თვითიზოლაციის პირობებში შექმნილი ნამუშევრების ვირტუალურ Facebook-გალერეას, რომელიც ხელოვანი ადამიანებისთვის, ახალი შემოქმედებითი პროექტების განხორციელების მოტივაციად იქცა. ვებგვერდზე ინტენსიურად იტვირთებოდა ქართველ ხელოვანთა ნამუშევრები,

როგორც სახვითი, ისე – ფოტოგრაფიის ნაწარმოები. „დარჩი კრეატიული“-ს ონლაინ გალერეაში სახვითი და ფოტოხელოვნების 70-მდე ნამუშევარი განთავსდა, მნახველთა რაოდენობამ კი 62 000-ს გადააჭარბა.

2021 წელს, საკრებულოში ნამუშევრების გამოფენა გაიმართა, რომელზეც წარმოდგენილი იყო საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე ცნობილი მხატვრების და ფოტოგრაფების, მათ შორის, ლიკა შხვაცაბაიას, დავით ბაძაღუას, გია გუგუშვილის, ქეთი მატაბელის, ოთარ მეგრელიშვილის, ბადრი ვადაჭკორიას, ნინო გელაშვილის და სხვა ავტორთა ნამუშევრები.

პროექტის მონაწილეებს მადლობის სიგელები გადაეცათ.

➢ **წიგნის „მედიცინა ძველ თბილისში" პრეზენტაცია** – დეპუტატ თინათინ ნიბლოშვილის ინიციატივით, საკრებულოში, ფილოლოგის, მედია-მკვლევრისა და ჟურნალისტ ანა ბაქანიძის მიერ შედგენილი წიგნის – „მედიცინა ძველ თბილისში“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი დედაქალაქის მერიის მიერ გამოცხადებული კონკურსის „შემოქმედებითი თბილისი“ ფარგლებში დაფინანსდა და მასში თავმოყრილია ცნობები საავადმყოფოებისა და კერძო მკურნალების შესახებ, ეპიდემიებსა და მათ საწინააღმდეგოდ მიმართულ ღონისძიებებზე. მედიცინა ძველ თბილისში, მე-19 საუკუნის ბეჭდური ენისა და სტილის დაცვით არის შედგენილი.

პრეზენტაციას საკრებულოს წევრები, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

➢ **ანსამბლ „ერისიონის“ 135 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება** – თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, ქართული ხალხური სიმღერის და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „ერისიონის“ 135 წლის იუბილესთან დაკავშირებით მიღება გაიმართა.

ღონისძიებაზე, რომელსაც თბილისის საკრებულოს, დედაქალაქის მთავრობის, მეცნიერების, კულტურის სფეროსა და ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ და თინათინ ნიბლოშვილმა მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს და ქართული ფოლკლორის განვითარების ისტორიაში ანსამბლ „ერისიონის“ როლზე ისაუბრეს. როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, სოლიდურ წლებთან ერთად, განუზომელია ანსამბლის წვლილი ქართული ფოლკლორის ისტორიაში, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მის წარმოჩენასა და პოპულარიზაციაში.

➢ **თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქი** – 2021 წლის 23 აპრილს, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს, გაიმართა გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) პროგრამის, „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ ოფიციალური გახსნის ცერემონია. „წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ იდეა მიზნად ისახავს, რომ განურჩევლად სახელმწიფო საზღვრებისა,

დედამიწის ყველა კუთხეში წიგნის კითხვის კულტურა წაახალისოს და მოსახლეობის ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში ლიტერატურის ღირებულებები მეტად გაავრცელოს.

„თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში, 2021 წელს მოეწყო თბილისის წიგნის 23-ე საერთაშორისო ფესტივალი, სადაც წარმოდგენილი იყო საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თანამშრომლისა და მწერლის, ირაკლი შამათავას უახლესი გამოცემა აფხაზეთის ომის თემაზე. „ვილაპარაკოთ – 33 ამბავი აფხაზეთზე“, ასე ჰქვია გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოცემულ ანთოლოგიას, რომელიც აერთიანებს თანამედროვე ქართული მწერლობის საუკეთესო პროზაულ ტექსტებს. წიგნში შესულია: ნაირა გელაშვილის, რეზო თაბუკაშვილის, ნინო სადღობელაშვილის, გურამ ოდიშარიას, ბექა ქურხულის, ბესო სოლომანაშვილის, შორენა ლებანიძის, გელა ჩქვანავას და სხვა ცნობილ მწერალთა ტექსტები.

➢ **თბილისის საკრებულოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის საგამოფენო სივრცე** – თბილისის საკრებულოში, განათლებისა და კულტურის კომისიის წევრის მარიკა დარჩიას ინიციატივით, ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ქალაქ თბილისის თავის, დიმიტრი ყიფიანის სახელობის საგამოფენო სივრცე გაიხსნა. საგამოფენო სივრცეში დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური მასალა და დიმიტრი ყიფიანის ხელნაწერებია წარმოდგენილი.

➢ **არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციების ესკიზების გამოფენა** – თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა, რომელიც ამავდროულად არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველი კომისიის წევრი, თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში შექმნილი არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციების ესკიზების გამოფენა დაათვალიერა.

კონკურსი, რომელშიც 20 მოქანდაკე მონაწილეობდა, დედაქალაქში გრიგოლ რობაქიძისა და დიმიტრი ყიფიანის ბიუსტების, ზვიად გამსახურდიას სახელობის მემორიალისა და ჟიული შარტავასა და გურამ გაბესკირიას ბიუსტების/მემორიალის განთავსების მიზნით გამოცხადდა. კონკურსის შედეგად, დიმიტრი ყიფიანის ესკიზის გამარჯვებული გახდა მოქანდაკე გიორგი ჭანკოტაძე, ხოლო ჟიული შარტავასა და გურამ გაბესკირიას ბიუსტების/მემორიალის გამარჯვებული – მოქანდაკე ავთანდილ მჭედლიშვილი.

დიმიტრი ყიფიანის ბიუსტისა და ზვიად გამსახურდიას სახელობის მემორიალის განთავსების ინიციატორი დეპუტატი თინათინ ნიბლოშვილია.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული საბჭო და კომისიები

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, თინათინ ნიბლოშვილი აქტიურად მონაწილეობს დედაქალაქში მიმდინარე პროექტების გადაწყვეტის პროცესში. იგი არის თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შემდეგი კომისიებისა და საბჭოების წევრი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ესკიზისა და ხარჯთაღრიცხვის საუკეთესო წინადადების შესარჩევი საკონკურსო კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თეატრალური პროექტების განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სფეროს პროექტების განმხილველი კომისია.

კორესპონდენცია და მოქალაქეთა მიღება

საანგარიშო პერიოდში, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა შეისწავლა და რეაგირება მოახდინა დაახლოებით 680 საკითხსა თუ განცხადება-კორესპონდენციაზე.

საანგარიშო პერიოდში, თინათინ ნიბლოშვილს პირადი შეხვედრის თხოვნით მომართა 50-ზე მეტმა მოქალაქემ. პანდემიის პირობებში, კორონავირუსის პრევენციის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, დეპუტატი მოქალაქეებთან საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებდა სხვადასხვა ონლაინ პლატფორმას, მათ შორის, სოციალურ ქსელს.

თბილისის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი

2020 წლის 1 ნოემბრიდან 2021 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით, გაიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 და ბიუროს 24 სხდომა; მიღებულ იქნა 497 განკარგულება და 108 დადგენილება.

თბილისის საკრებულოს წევრმა, თინათინ ნიბლოშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 12 სხდომის მუშაობაში და განიხილა 16 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში, თინათინ ნიბლოშვილი, რომელიც ასევე არის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი, მონაწილეობა მიიღო კომისიის 14 სხდომაში და განიხილა 69 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში, ფრაქციამ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის“, რომლის წევრიც არის თინათინ ნიბლოშვილი, ჩაატარა 16 სხდომა, რომელზეც განხილული იყო 25 საკითხი. დეპუტატმა თინათინ ნიბლოშვილმა მონაწილეობა მიიღო ფრაქციის 10 სხდომაში და განიხილა 18 საკითხი.

თინათინ ნიბლოშვილი, რომელიც ამავდროულად არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საანგარიშო წლის პერიოდში დაესწრო გენდერული საბჭოს სხდომას და მონაწილეობდა საბჭოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

პატივისაცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი,
განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე,

თინათინ ნიბლოშვილი